კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.legalaid.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 08 სექტემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იურიდიული დახმარების სამსახური

www.legalaid.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
80,95%
72,03%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
56,52%
61,31%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
54,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
50,00%
31,31%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
14,29%
19,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
21,43%
46,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
40,00%
20,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
28,57%
100,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%
100,00%
120,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურუდიული დახმარების სამსახურის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამსახურის დირექტორის მისაღების ფაქსის ნომერი:

თქვენ იმყოფებით: ჩვენს შესახებ / სტრუქტურა და თანამშრომლები / **დირექტორი**

დირექტორი

ირაკლი კობიძე

მის: რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო
ტელ: +995(32)2920055
ელ-ფოსტა: ikobidze@legalaid.ge
დაბადების თარიღი: 6 იანვარი, 1981
დაბადების ადგილი: ქალაქი სარატოვი, რუსეთის ფედერაცია
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

ვებ-გვერდზე აგრეთვე, არ მოიძიება სამსახურის დირექტორის მოადგილის ფოტოსურათი, ფაქსის ნომერი და კომპეტენციის აღწერა:



ნათია გურული

პოზიცია: დირექტორის მოადგილე
დაბადების თარიღი: 17 აპრილი, 1985 წელი
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
ტელეფონი: +995(32)2920055
ელ-ფოსტა: nguruli@legalaid.ge

განათლება:

- **2011წ – დღემდე** - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- **2007** - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ადვოკატთა ტესტირება საერთო სპეციალიზაციით;
- **2002 წ. –2007წ.** - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობა.
- **ტრეინინგები:** იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტრეინინგები თემებზე "მრომითი ურთიერთობების საჯარო სამართლებრივი ასპექტები", ,,ადმინისტრაციულ სამართალი, ,,მრომის სამართალი", მოწვეული ექსპერტის კარლ შლაიზერგის ტრეინინგი თემაზე ,,პერსონალის მართვა და მენეჯმენტი", ევროკავშირის ტრეინინგი თემაზე ,,პერსონალის მართვა და მენეჯმენტი".

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სამსახურის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული დანაყოფების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა და ფაქსის ნომრები), კერძოდ კი, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კონტაქტი“ წარმოდგენილ სარეკვიზიტო ცნობარს, აკლია სამსახურის სამმართველოების სარეკვიზიტო ცნობარი:

თქვენ იმყოფებით: კონტაქტი / ოფისების კოორდინატები

ოფისების კოორდინატები

იურიდიული დახმარების სამსახური (ცენტრალური ოფისი)

მის: რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო
ტელ: +995(32)2920055; 2988493; 2932090
ფაქსი: +995(32)2988493
ელ-ფოსტა: info@legalaid.ge

იურიდიული დახმარებისათვის მიმართეთ რეგიონულ ოფისებს

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: იმედა ბერიშვილი
მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №140ა, მე-3 სართ (მესასვლელი პასტერის ქუჩიდან)
ტელ: +995(32)2954474/75;
მობ: +995(595)364410
ელ-ფოსტა: tbilisi@legalaid.ge

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: დიმიტრი ბენია
მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელ: +995(32)2513873
მობ: +995(595)901705
ელ-ფოსტა: mtskheta@legalaid.ge

კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: ლიანა ჭუნიაშვილი
მის: თელავი, ერეკლე II გამზ. №8
ტელ: +995(350)271538
მობ: +995(595)901707
ელ-ფოსტა: telavi@legalaid.ge

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: იოსებ ჯამასპიშვილი
მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,
ტელ: +995(341)241425
მობ: +995(595)901706
ელ-ფოსტა: rustavi@legalaid.ge

ვებ-გვერდზე აგრეთვე, არ მოიძიება სამსახურის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამსახურის მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული იურიდიული დახმარების სამსახურის მიზნებისა და ამოცანების ჩამონათვალი.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული დანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ხოლო მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ვებ-გვერდზე სრული სახით არ არის წარმოდგენილი;
- არ მოიძიება სტრუქტურული დანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

6. ვებ-გვერდზე სრულად არ არის მოცემული ინფორმაცია სამსახურის ტერიტორიული ერთეულების შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ტერიტორიული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;
- არ მოიძიება ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელების მისაღებთა ფაქსის ნომრები;
- არ მოიძიება ტერიტორიული ერთეულების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითებით) და მათ შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;
- არ მოიძიება ტერიტორიული ერთეულების ფაქსის ნომრები.

ამასთან, ვებ-გვერდზე სრულად არ არის წარმოდგენილი სამსახურის ტერიტორიული ერთეულების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები. კერძოდ, შემდეგი ტერიტორიული ერთეულების: სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს, ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრისა და ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრის, მოცემულია მხოლოდ მობილურის ნომრები:

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: დავით ზარიძე
მის: ახალციხე, თამუკაშვილის ქ.№17
მობ: +995(591)115571
ელ-ფოსტა: akhaltsikhe@legalaid.ge

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: თეა ჩიკვაიძე
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
მობ: +995(595) 308847
ელ-ფოსტა: ambrolauri@legalaid.ge

ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: ვასილ ბალახაძე
მის: ახალქალაქი, თამარ მეფის №44
მობ: +995(591)996597
ელ-ფოსტა: akhalkalaki@legalaid.ge

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სათათბირო ორგანოს შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოძიება სამსახურის სათათბირო ორგანოს - მონიტორინგის საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელის - ზვიად დევდარიანის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამსახურის სათათბირო ორგანოს - მონიტორინგის საბჭოს სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და აგრეთვე, სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. სამსახურის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა (ქვე-განყოფილებაში „ვაკანსიები“ განთავსებულია ერთადერთი განცხადება) და ტენდერების არქივი (არ არსებობს ტენდერების შესაბამისი (ქვე-)განყოფილება), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, პროგრამები *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე განთავსებული განყოფილება (ბანერი), სათაურად „განცხადებები“ ცარიელია:

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილებაში „წლიური ანგარიშები“ განთავსებული პირველი (2008 წლის) და მეორე (2009 წლის) ბმული ცარიელია:



ცარიელია აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „საინფორმაციო რესურსები“, არსებული ქვე-განყოფილებები, სათაურად „განცხადებები“ და „სიახლეების არქივი“:

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის დირექტორის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ;

- არ მოიძიება სამსახურის დირექტორის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მისი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებაში.

11. სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეები“ მოყვანილი უკანასკნელი საინფორმაციო ხასიათის ცნობა სამსახურის საქმიანობის შესახებ თარიღდება 2011 წლის იანვრის თვით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს 2011 წლის იანვრის თვემდე განხორციელებული სამსახურის საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს:

12. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს ქვე-განყოფილება „წლიური ანგარიშები“, თუმცა განთავსებული პირველი (2008 წლის) და მეორე (2009 წლის) ბმული ცარიელია:



წარმოდგენილია მხოლოდ სამსახურის საქმიანობის 2010 წლის ანგარიში, სასურველია აქვე განთავსდეს სამსახურის საქმიანობის მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური.

14. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება „პროექტები“, თუმცა მასში წარმოდგენილია მხოლოდ 2004-2009 წლების პროექტების ჩამონათვალი:

სასურველია აქვე განთავსდეს აგრეთვე, იმ პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური.

15. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს ქვე-განყოფილება „პარტნიორები“ , თუმცა მასში განთავსებულია სამსახურის პარტნიორ ორგანიზაციათა მხოლოდ ვებ-გვერდების ბმულები. სასურველია აქვე მოიძიებოდეს პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერაც:

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

16. სამართლებრივი აქტები მიმოფანტულია ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებებში, სათაურად „ნორმატიული აქტები“, აღნიშნულ განყოფილებებში მოთავსებულია სამართლებრივი აქტების ძალზედ მწირი რაოდენობა:





სასურველია, ზემოთ მოცემული სამართლებრივი აქტები, ერთად იქნეს წარმოდგენილი (ქვე-) განყოფილებაში, სათაურად „კანონმდებლობა“ ან „სამართლებრივი აქტები“. აღნიშნულ (ქვე-) განყოფილებაში სასურველია აგრეთვე, მოიძიებოდეს სამსახურის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, მინისტრისა და სამსახურის დირექტორის ინდივიდიუალურ ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტები, აგრეთვე საკანონმდებლო აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები.

ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება სამსახურის დებულება. აღნიშნული სამართლებრივი აქტი სასურველია მოიძიებოდეს შესაბამის განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებაში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“.

➢ **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამსახურში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

➢ **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამსახურსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, სამსახურსა და სხვა

საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

21. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, თუმცა მასში განთავსებულია ერთადერთი განცხადება. სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამსახურის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ:

თქვენ იმყოფებით: ჩვენს შესახებ / დასაქმება ჩვენთან / ვაკანსიები

ვაკანსიები

კონსულტანტი ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროში (წალკა)

იურიდიული დახმარების სამსახური წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას და თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და სამსახურის დებულების საფუძველზე.

ს.ს.ი.შ. იურიდიული დახმარების სამსახური აცხადებს კონკურსს ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროში არსებულ კონსულტანტის ვაკანტურ თანამდებობაზე (საშუალო ადგილი - წალკა).

განცხადებების მიღება იწყება 2011 წლის 8 სექტემბრიდან 2011 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 18 საათამდე იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატში და ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროში.

კონკურსი ჩატარდება ერთ ეტაპად, გასაუბრების ფორმით. გასაუბრების ჩატარების ადგილი და თარიღი კონკურსანტებს ეცნობებათ დამატებით. დავუკავშირდებით მხოლოდ წარმოდგენილი საბუთების მიხედვით შერჩეულ კანდიდატურებს.

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის №30
ტელ: 2920055
ელ.ფოსტა: hr@legalaid.ge

ქ. რუსთავი, ბათუმის ქ. №17
ტელ: +995(341)241425

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამსახურის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, იურიდიული დახმარების სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/xelfasi_premia0001.pdf);*

- არ მოიძიება სამსახურის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამსახურისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88,89%
2. ძიება
60,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
35,29%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
66,67%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
41,67%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ნავიგაცია**

სწრაფი ნავიგაციისთვის ვებ-გვერდზე გვხვდება კალენდარი, თუმცა რომელიმე დღის არჩევის შემდეგ ვებ-გვერდი არ რეაგირებს და რჩება იგივე გვერდზე:

- **ძიება**

ძიების შედეგებში შეიჩმევა შრიფტის არასწორედ წარმოჩენის ფაქტები:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

თუ სიახლეებში ინფორმაცია ვერ მოიძებნა გამოდის ცარიელი გვერდი:

ამ შემთხვევაში სასურველია, რომ გამოდიოდეს ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ სიახლეები ვერ მოიძებნა შესაბამისი თარიღით;

ვებ-გვერდში გამოყენებულია ფონტი GLAHO, ფონტი საკმაოდ მომხიბვლელია თუმცა, მისი ზომა უნდა იყოს მინიმუმ 12 პიქსელი, რათა ის იყოს კითხვადი. ამ შემთხვევაში ფონტის ზომა ნაკლებია ვიდრე 12 პიქსელი, რაც ტექსტებს ხდის აშკარად არა-კითხვადს:



- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საოკონტაქტო ფორმით, ელექტრონული ფოსტა არ იგზავნება, ტესტირება ჩატარდა შვიდჯერ, თუმცა შვიდივეჯერ უსაფრთხოების კოდზე სისტემამ გამოიტანა შემდეგი შეტყობინება:

Security Code is wrong!!!
<< Back

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები, აღნიშნული ტექნიკური წუნი შეიძლება ძალიან სახიფათო აღმოჩნდეს ვებ-გვერდისთვის. ტესტირებების შედეგად დადგინდა რომ ვებ-გვერდს აქვს გარკვეული დაცვა, თუმცა ამ დაცვის გვერდის ავლა საკმაოდ მარტივია და არ გაუჭირდება ნორმალურ პროგრამისტს. ჩვენ სპეციალურად არ დავწერთ სად არის ტექნიკური წუნი, თუმცა იურიდიული დახმარების სამსახურის ტექნიკურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით:



ვებ-გვერდის HTTPS ვერსია არსებობს, თუმცა იგი მისამართდება ელექტრონული ფოსტის სისტემაზე რაც არასწორია:



- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდზე არსებობს შეუვსებელი გვერდები, თუმცა ამ გვერდებზე არ მოიძიბე აღნიშვნა, რომ ისინი მზადების პროცესში არიან:



გამოკითხვის მოდულში, ხმის მიცემის შემდეგ არ გამოდის შეტყობინება იმის შესახებ, დაფიქსირდა თუ არა ჩვენი ხმა. ამავე დროს, არჩევანის გაკეთების შემდგომ კვლავ გმოდის ანალოგიური ფანჯარა სადაც ხმის მიცემა განმეორებით შესაძლებელია. თუმცა, გაურკვევლად რჩება დაფიქსირდა თუ არა სისტემაში ხმის მიცემის პროცესი:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე დაშვებულია წვრილმანი შეცდომები. ასევე უნდა ითქვას, რომ ვებ-გვერდს აქვს მნიშვნელოვანი პრობლემები უსაფრთხოების კუთხით. ვებ-გვერდი აუცილებლად უკეთ უნდა იყოს ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან, დასამატებელია ელექტრონული სერვისები და სხვა.